aceline

მომხმარებლის სახელმძღვანელო

პორტატული აკუმულატორი
APB3045

ძვირფასო მომხმარებელო!

მადლობას გიხდით ჩვენი პროდუქციის არჩევისთვის. სასიხარულოა შემოგთავაზოთ ნაწარმი და მოწყობილობები, რომლებიც შემუშავებული და დამზადებულია ხარისხის, ფუნქციონალურობისა და დიზაინის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ექსპლუატაციის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე რეკომენდაციები პროდუქტის სწორად გამოყენებისა და მოვლისთვის. იზრუნეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შენარჩუნებაზე და გამოიყენეთ იგი, როგორც საცნობარო მასალა ნაწარმის შემდგომი ექსპლუატაციისას.

მოწყობილობის დანიშნულება

პორტატული აკუმულატორი განკუთვნილია მობილური მოწყობილობების დასატენად, მათ შორის ელექტრო როზეტთან წვდომის არარსებობისას.

უსაფრთხოების ზომები

- სრულად დატენეთ მოწყობილობა პირველ გამოყენებამდე. სრულად დატენვის შემდეგ ყოველთვის გამორთეთ იგი ქსელიდან.
- გამოიყენეთ მხოლოდ თავსებადი ქსელური ადაპტერი და კაბელი პორტატული აკუმულატორის დასატენად, რადგან არასწორად შერჩეული ქსელური ადაპტერის, კაბელის ან დამტენი საცმების გამოყენებამ შეიძლება დააზიანოს იგი, ასევე მასთან მიერთებული მობილური მოწყობილობები.
- ყოველთვის დატენეთ მოწყობილობა კარგი ვენტილაციის მქონე სათავსოებში. ნუ შეინახავთ მას მომატებულ ან დაბალ ტემპერატურაზე.
- არ ჩაძიროთ მოწყობილობა წყალში და არ გამოიყენოთ წყლის წყაროების უშუალო სიახლოვეს.

- დაიცავით მოწყობილობა დაცემის, დარტყმებისა და რხევისგან. უხეშმა გამოყენებამ შეიძლება დააზიანოს შიდა კონტაქტები და დაფები.
- შეინახეთ მოწყობილობა მშრალ, კარგად განიავებად ადგილას.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე კონტროლს ახორციელებენ მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები.
- არ დაუქვემდებაროთ მოწყობილობა და კაბელი ცეცხლისა და ძლიერი სითბოს სხვა წყაროების ზემოქმედებას.
- მოწყობილობასთან არაკვალიფიციურმა მოქმედებებმა (მოდიფიკაცია, შეკეთება და ა.შ.) შეიძლება ზიანი მიაყენოს მოწყობილობასა და თქვენს ჯანმრთელობას.
- დაიცავით ადგილობრივი კანონმდებლობა და ნუ გამოიყენებთ მოწყობილობას იქ, სადაც ეს აკრძალულია (მაგალითად, თვითმფრინავის აფრენისა და დაფრენის დროს, სამედიცინო მოწყობილობების სიახლოვეს და ა.შ., რადგან მან შეიძლება ხელშეშლა გამოიწვიოს).
- ნუ გამოიყენებთ მოწყობილობას დაცემის შემდეგ, ასევე თუ შეინიშნება ხილული დაზიანებები. მიმართეთ სერვისცენტრს.
- მოწყობილობის არასათანადო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჩაშენებული აკუმულატორის დაზიანება და თქვენ დაგაკარგვინოთ უფასო საგარანტიო მომსახურების უფლება.
- პირველი გამოყენების შემდეგ, ან თუ მოწყობილობა დიდი ხნის განმავლობაში არ გამოიყენება, სრულად დატენეთ იგი. მოწყობილობის სრულფასოვანი მუშაობა მიიღწევა მხოლოდ დამუხტვა-განმუხტვის 2–3 სრული ციკლის შემდეგ.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

რეკომენდაციები აკუმულატორის ბატარეასთან (Li-pol/Li-ion) მუშაობისას

- გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი დამტენი მოწყობილობა.
- დაიცავით ტემპერატურული რეჟიმი.
- ბატარეები უნდა ინახებოდეს დამუხტულ მდგომარეობაში 0 °C-დან +25 °C-მდე ტემპერატურაზე, ჰაერის ნორმალური ტენიანობისას. ბატარეები ცუდად იტანენ ხანგრძლივ ექსპლუატაციას გარემოს ძალიან მაღალ (+35 °C-ზე მაღლა) და ძალიან დაბალ (−10 °C-ზე დაბლა) ტემპერატურაზე. ბატარეის პირდაპირ მზის სხივებზე დატოვება აკრძალულია.
- ნუ დაშლით, ნუ დაწვავთ, ნუ გამოიყენებთ დაზიანების კვალის მქონე ბატარეებს.

მოწყობილობის სქემა



1. დამუხტვის ინდიკატორები.
2. USB Type-A კონექტორი (გამომავალი).
3. USB Type-C კონექტორი (შემავალი/გამომავალი).
4. USB Type-C კონექტორი (შემავალი).
5. კვების ღილაკი.

ტექნიკური მახასიათებლები

- მოდელი: APB3045.
- სავაჭრო ნიშანი: Aceline.
- მაქსიმალური სიმძლავრე: 45 ვტ.
- აკუმულატორი:
  - ტიპი: Li-pol.
  - ტევადობა: 30000 mAh.
  - ძაბვა: 3,7 ვ.
- დატენვის დრო: 2,5 სთ.
- სწრაფი დატენვა.
- კონექტორები: USB Type-A, USB Type-C × 2.
  - USB-C1 (შემავალი): 5 ვ ⎓ 3 ა, 9 ვ ⎓ 3 ა, 12 ვ ⎓ 3 ა, 15 ვ ⎓ 3 ა, 20 ვ ⎓ 2,25 ა; 45 ვტ.
  - USB-C2 (შემავალი): 5 ვ ⎓ 3 ა, 9 ვ ⎓ 2 ა, 12 ვ ⎓ 1,5 ა; 18 ვტ.
  - USB-A (გამომავალი): 5 ვ ⎓ 3 ა, 9 ვ ⎓ 2 ა, 10 ვ ⎓ 2,25 ა, 12 ვ ⎓ 1,67 ა; 22,5 ვტ.
  - USB-C1 (გამომავალი): 5 ვ ⎓ 3 ა, 9 ვ ⎓ 3 ა, 12 ვ ⎓ 3 ა, 15 ვ ⎓ 3 ა, 20 ვ ⎓ 2,25 ა; 45 ვტ.
- მაქსიმალური გამომავალი ძაბვა: 20 ვ.
- მაქსიმალური გამომავალი დენი: 3 ა.
- დატენვის პროტოკოლები:
  - USB-A: QC3.0/AFC/FCP/SCP;
  - USB-C: QC3.0/FCP/SCP/AFC/PD3.0 (PPS, QC4+).
- პორტების ერთდროული მუშაობა (გამომავალი): USB-C: 5 ვ ⎓ 2 ა + USB-A: 5 ვ ⎓ 1,5 ა; 7,5 + 7,5 ვტ.
- მცირე სიმძლავრის მოწყობილობების დატენვის რეჟიმი.
- გამჭოლი დატენვა.
- კორპუსის მასალა: პლასტმასი.
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო.

კომპლექტაცია

- მოწყობილობა.
- კვების კაბელი.
- მომხმარებლის სახელმძღვანელო.

ექსპლუატაციის ინსტრუქცია

ინდიკატორები

ინდიკატორები აჩვენებს, რამდენი მუხტი დარჩა პორტატულ აკუმულატორში:

ინდიკატორი	აკუმულატორის დამუხტვა
	0%
	1–25%
	25–50%
	50–75%
	75–100%

 — ინდიკატორი არ ანთია.

 — ინდიკატორი ანთია.

აკუმულატორის დატენვა

1. ჩასვით კაბელი პორტატული აკუმულატორის შემავალ კონექტორში, კაბელის მეორე ბოლო დაუკავშირეთ ქსელურ ადაპტერს (კომპლექტში არ შედის) ან უშუალოდ კვების წყაროს.
2. დატენვის დასრულების შემდეგ გამოაერთეთ კაბელი პორტატული აკუმულატორიდან.

მობილური მოწყობილობების დატენვა პორტატული აკუმულატორიდან

1. ჩასვით კაბელის USB-კონექტორი პორტატული აკუმულატორის შესაბამის პორტში, ხოლო კაბელის მეორე ბოლო დაუკავშირეთ მობილური მოწყობილობის პორტს.
2. დააჭირეთ კვების ღილაკს პორტატული აკუმულატორის ჩასართავად — მოწყობილობა დაიწყებს დატენვას.
3. დატენვის დასრულების შემდეგ გამოაერთეთ კაბელი პორტატული აკუმულატორიდან და მობილური მოწყობილობიდან.

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- მოწყობილობა არ საჭიროებს რაიმე მონტაჟს ან მუდმივ ფიქსაციას.
- მოწყობილობის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, მწარმოებელსა და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურაზე 5 °C-დან 40 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას არაუმეტეს 80%. შენობებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავა, ტუტე ორთქლი).
- მოწყობილობის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- მოწყობილობა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას; დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობის, ცეცხლის და ა.შ. ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ნაწარმის მომსახურების ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად აკრძალულია. ამის ნაცვლად ის უნდა ჩაბარდეს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მიღების შესაბამის პუნქტს შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის ფედერალური ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პროდუქტის სათანადოდ უტილიზაციით, თქვენ ხელს უწყობთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და თავიდან აცილებთ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანს, რაც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობისას. ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საწარმოში.
- მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან უტილიზაცია გაუკეთეთ მოწყობილობას.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: შენჯენ ჟუილანსინ ტექნოლოჯი კო., ლტდ. A403, B ბლოკი, ხუადა ინდასტრი, ფუციაოს სამრეწველო ზონა №3, ფუხაი, ბაოანის რაიონი, ქ. შენჯენი, გუანდუნის პროვ., ჩინეთი.

დამზადებულია ჩინეთში.

Manufacturer: Shenzhen Ruilanxin Technology Co., Ltd. A403,Block B, Huada Industry, Fuqiao Industrial Area No.3 , Fuhai, Bao’an district, 518103, Shenzhen, Guangdong Sheng, China.

იმპორტიორი საქართველოში / მწარმოებლის მიერ უფლებამოსილი პირი:
შპს არგო ელექტრონიქს ს/კ 405791674 საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი იერსახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საქონელი დამზადებულია (თვ.წწწწ): _____ V.1

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI: _____

გარანტიაზე აყვანის თარიღი: _____

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო ვადა აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე.

საგარანტიო მომსახურება მოიცავს იმ ელემენტების უფასო შეკეთებას ან შეცვლას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა მომხმარებლის ბრალის გარეშე საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. ელემენტების შეკეთება ან შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვისცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 12 თვე.
ექსპლუატაციის ვადა: 12 თვე.

შენიშვნებისთვის

aceline